



საქართველო

Deloitte Legal

17 თებერვალი 2021

საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“

2021 წლის იანვარში საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში შევიდა ცვლილებები, რომლითაც განიმარტა საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილში განხორციელებული ცვლილებები, მათ შორის:

ცვლილებების თანახმად, 2021 წლის 1 აპრილიდან უცხოელ დასაბეგრ პირს (დასაბეგრი პირი, რომელიც არ არის დაფუძნებული ან ჩვეულებრივ არ ცხოვრობს საქართველოში ან საქართველოში არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება, რომელიც მონაწილეობს მომსახურების გაწევაში), რომელიც მონაწილეობს ტელესაკომუნიკაციო, რადიო ან ტელესამაუწყებლო, ელექტრონულად მომსახურების გაწევაში და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მომსახურების გაწევის ადგილი არის საქართველო და აღნიშნული ოპერაცია არ იბეგრება უკუდაბეგვრის წესით წარმოეშობა დღგ-ის გამონაგარიშების და გადახდის ვალდებულება დღგ-ის რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე. საქართველოში დღგ-ის ანგარიშგების და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მიზნით უცხოელი დასაბეგრი პირი საქართველოს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე არსებული პლატფორმის საშუალებით ავსებს სარეგისტრაციო ფორმას.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №223/04 „პირის გათვითცნობიერებულ ინვესტორად აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“

2020 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს პირების ჩამონათვალს, რომლებიც მიიჩნევიან გათვითცნობიერებულ ინვესტორებად, აგრეთვე, ადგენს პირის გათვითცნობიერებულ ინვესტორად აღიარების პირობებს.

გათვითცნობიერებული ინვესტორი წარმოადგენს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც აქვს საკმარისი გამოცდილება, ქონება ან შემოსავალი იმისათვის, რომ მან აიტანოს საინვესტიციო საქმიანობით გამოწვეული ფინანსური ზარალი. გათვითცნობიერებული (გამოცდილი) ინვესტორი არის მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირი, ფინანსური ინსტიტუტი, ფინანსური ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიული პირი, რომლის კაპიტალის ოდენობა აღემატება 1 მილიონ ლარს, ან სხვა პირი, რომელიც ასეთად აღიარებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ასეთი სტატუსის მქონე პირები სარგებლობენ პრივილეგიებით საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგების დადებისას და ისინი არ საჭიროებენ საბროკერო კომპანიისა და შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტის მონაწილეობას.

გათვითცნობიერებულ ინვესტორად მიიჩნევა შემდეგი იურიდიული პირი ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი: ა) ფინანსური ინსტიტუტი და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი; ბ) იურიდიული პირი, რომლის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაანგარიშებული საკუთარი კაპიტალის ოდენობა აღემატება 1 მილიონ ლარს; გ) საქართველოს ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ორგანო, მათ შორის, სახელმწიფო ვალის მართვაზე უფლებამოსილი ორგანო და ცენტრალური ბანკი; დ) საპენსიო სქემის სახელით ან მის სასარგებლოდ მოქმედი პირი; ე) ფინანსური ინსტიტუტის მმართველი ორგანოს წევრი (მათ შორის, დირექტორი), საბროკერო, სავაჭრო ან/და საინვესტიციო მიმართულების დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე და ამ მიმართულებების ნებისმიერი თანამშრომელი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება, დამოუკიდებლად დადოს გარიგებები ასეთი ფინანსური ინსტიტუტის სახელით; ვ) მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირი. კერძოდ, პირი, რომლის დადასტურებული ქონება აღემატება 3 მილიონ ლარს ან თითოეული წლის წლიური შემოსავალი ბოლო 3 წლის განმავლობაში აღემატება 200,000 ლარს. ამასთან, ინდივიდუალური მეწარმის შემოსავლის დათვლისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №994 “მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“

2021 წლის 1 მარტიდან ძალაში შედის ცვლილება საქართველოს ფინანსთა მინისტრის №994 ბრძანებაში, კერძოდ:

- საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია განხორციელოს „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ ასახული მონაცემების სისწორის შესწავლა;
- მონაცემების სისწორის შესწავლა მოიცავს დაქირავებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობისა და მათი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, მოქალაქეობა და სხვა) შესახებ ინფორმაციის ანალიზს;
- დამქირავებელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ახსნა-განმარტებები და ყველა დოკუმენტაცია, რაც აუცილებელია ზემოაღნიშნული მონაცემების სისწორის დასადგენად;
- „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ არასწორი ინფორმაციის ასახვა გამოიწვევს საგადასახადო კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას;
- თუ ვერ განხორციელდება დამქირავებელ პირთან კომუნიკაციის დამყარება ან/და დამქირავებელი პირის ობიექტ(ებ)ის მოძიება, ამასთან, თუ დამქირავებელი უარს აცხადებს წარადგინოს ახსნა-განმარტებები ან/და შესაბამისი დოკუმენტაცია საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგადასახადო კონტროლის დანიშვნის თაობაზე;
- „დაქირავებულ პირთა რეესტრის შესწავლის შედეგების შესახებ“ ოქმში აისახება შესწავლის შედეგად გამოვლენილ იმ ფიზიკურ პირთა შესახებ ინფორმაცია, რომელიც არ არის თანხვედრაში „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ არსებულ ინფორმაციასთან.

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №107 “დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელისათვის სპეციალური სტატუსის მინიჭების შესახებ“

2021 წლის 20 იანვრიდან ძალაში შევიდა შემოსავლების უფროსის ბრძანება №107, რომლის მიხედვითაც:

- დღგ-ის გადამხდელად ახლად რეგისტრირებული პირი რეგისტრაციის მომენტიდან ითლება არაკვალიფიციურ დღგ-ის გადამხდელად;
- კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც 2021 წლის 20 იანვრისათვის წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს და ბოლო უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში გადასახადის გადამხდელის პირად ბარათზე უფიქსირდება გატარებული ოპერაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი ითვლება დღგ-ის არაკვალიფიციურ გადამხდელად;

- კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს სპეციალური პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად, არაუგვიანეს შესაბამისი თვის მოდერნო თვის 15 რიცხვისა უუქმდება კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი, თუ მას უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში არ უფიქსირდება გადასახადის გადამხდელის პირად ბარათზე გატარებული ოპერაცია;
- საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელისათვის კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 330 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.